მარტი 2023

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

ექსპერტთა კომენტარი

გამოცემა #23

როგორი საგარეო პოლიტიკა სჭირდება საქართველოს?

რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან ერთი წლის შემდეგ ცხადი ხდება, რომ პუტინის თავდაპირველი გეგმა „დენაციფიკაციის“ და „დემილიტარიზაციის“ შესახებ კრახს განიცდის. გარდა ამისა, ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო წესრიგი და შედეგად გამოიწვია კოლექტიური დასავლეთის უპრეცედენტო მობილიზება რუსული აგრესიის საწინააღმდეგოდ ცივი ომის შემდეგ. გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურის ამგვარი გარდაქმნა მოწყვლადს ხდის ისეთ პატარა ქვეყნებს, როგორიცაა საქართველო, კრემლის ჰიბრიდული საფრთხეების წინაშე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თითქმის ყველა გლობალურ პლატფორმაზე მხარს უჭერს უკრაინას, რუსეთის მიმართ მთავრობის ბუნდოვანი პოზიციის ფონზე, კიევთან ურთიერთობები უფრო ანტაგონისტური გახდა. საერთაშორისო კრიტიკასთან ერთად, ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ქართული ოცნებამ დათმო ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა, რაც შედეგად სტრატეგიული პარტნიორების დაკარგვის რისკს ქმნის.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის თხოვნით, საერთაშორისო და ქართველი ექსპერტები პასუხობენ შემდეგ კითხვებს:

1. *რა ტიპის საგარეო პოლიტიკა უნდა აირჩიოს საქართველოს მსგავსმა პატარა სახელმწიფომ სწრაფად ცვალებად გეოპოლიტიკურ და უსაფრთხოების გარემოში?*
2. *შეუძლია საქართველოს აწარმოოს ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა, თუ მან შედარებით ტრანსაქციური მიდგომა უნდა აირჩიოს?*
3. *რა რისკები და სარგებელი გააჩნია თითოეულ მიდგომას?*

დოქტ. სტივენ ჯონსი

პროფესორი, ქართული კვლევების პროგრამის დირექტორი, ჰარვარდის უნივერსიტეტი, აშშ

ომი უკრაინის წინააღმდეგ სამუდამოდ შეცვლის ევრაზიულ ლანდშაფტს მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით მისი შედეგები. მისი გავლენა ევროპაზე საუკუნეების განმავლობაში გაგრძელდება. რუსეთი ყველაძე ძლიერი რეგიონული ძალაა ჩრდილოეთ ევრაზიაში და ყოველთვის იქნება საქართველოს საზღვრებთან. თუმცა რუსეთმა უკვე წააგო ეს ომი - მისი სამხედრო შესაძლებლობები მნიშვნელოვნად დაზიანდა და ეს შედეგს გამოიღებს უახლოესი ათწლეულების განმავლობაში. მისი რბილი ძალა - თუკი ასეთი არსებობდა - დასუსტდა. 2050 წლისთვის ქვეყანას შესაძლოა 120 მილიონზე მეტი მოსახლეობა აღარ ჰყავდეს, თუ, რა თქმა უნდა, იმიგრანტებს მასიურად არ მიიღებს. რუსეთმა დაკარგა მომგებიანი ბაზარი დასავლეთში და თავისი პოლიტიკური გავლენა, რომელიც მას ჰქონდა ენერგოგამტარების, ეკონომიკური ფაქტორების და ისეთი კავშირების გამო, როგორიცაა ევრაზიული ეკონომიკური ერთობა. ეს ყველაფერი დასუსტდა ევროკავშირის, ჩინეთის, თურქეთის და აშშ-ის მოქმედების შედეგად.

ამ ახალ გარემოში საქართველოსთვის არსებობს როგორც საფრთხეები, ისე შესაძლებლობები. საფრთხეები დაკავშირებულია რუსეთის დაშლასთან (რა შეიძლება მოხდეს ჩრდილოეთ კავკასიაში?) ან პოსტ-პუტინისტური რევანშიზმის აღმავლობასთან. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი რჩებიან საფრთხისშემცველ ბერკეტებად რუსეთის ხელში. თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლებლობები ჩნდება სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დამბალანსებელი აქტორების გააქტიურებასთან ერთად. ევროკავშირის და ნატოს გაფართოება შავი ზღვისკენ განსაკუთრებით საყურადღებო იქნება საქართველოსთვის, რადგან ეს შექმნის ახალ გარემოებებს მეტად მოქნილი მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკისთვის, რაც მსგავსი პატარა ქვეყნისთვის უპირატესობის მომტანი შეიძლება გახდეს. საქართველო კვლავ უნდა დაუკავშირდეს უკრაინას და მოლდოვას, როგორც პროევროპული „სამეულის“ ნაწილი, რათა მშვიდობის საბოლოო დამყარებისთანავე ქვეყანამ უზრუნველყოს, რომ ის არის სწორ მხარეს და დასავლეთთან თანხმობაში.

დოქტ. ნილ მაკფარლეინი,

პოლიტიკის პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრის დირექტორი, ქუინსის უნივერსიტეტი, კანადა

საქართველოსთვის გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების გარემო მართლაც სწრაფად იცვლება, დიდწილად, უკრაინაში რუსეთის აგრესიის და მასზე დასავლეთის პასუხის შედეგად. რთულია, გადაწყვიტო, რა უნდა გააკეთოს საქართველომ. რუსეთი მეზობლადაა

და ქვეყნის უსაფრთხოებისთვის პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს. აშშ და მისი მოკავშირეები რუსეთის დასამარცხებლად ასე მობილიზებული არასდროს ყოფილან და ისინი საქართველოს მსგავსი მეგობრებისგან ელიან დახმარებას. პრობლემა ისაა, რომ საქართველო რუსეთს მეტისმეტად უახლოვდება, რომ თავიდან აიცილოს სერიოზული რეგიონული ზიანი, და ამით დასავლეთთან გაუცხოების რისკს ზრდის. თუკი ის დასავლეთს მეტისმეტად დაუახლოვდება, ჩნდება რუსეთზე დამოკიდებულების და ეკონომიკური პრობლემების რისკი. არ არსებობს მარტივი პასუხი. სავარაუდოდ, საუკეთესო, რაც შეიძლება გაკეთდეს, არის ფრთხილად სიარული ამ ვიწრო ბილიკზე.

აშშ-ს შეუძლია, აწარმოოს ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა, საქართველოს ეს არ შეუძლია, რადგან მისი გეოგრაფიული მდებარეობა და ზომის სიმცირე ამის საშუალებას არ იძლევა. რა თქმა უნდა, ეს საკითხი დიქოტომიური არ არის. სახელმწიფოების უმეტესობა, აშშ-ის ჩათვლით, არის ერთდროულად ღირებულებებზე დაფუძნებულიც და ტრანსაქციურიც. კვლავაც ვფიქრობ, რომ ტრანსაქციურობასთან ერთად ბალანსი საქართველოს საგარეო პოლიტიკაში უნდა იყოს დაცული ისე, რომ არ დაიკარგოს ღირებულებები.

გამომდინარე იქიდან, რომ ამ საკითხს დიქოტომიურად არ ვუყურებ, მე ვერ ვხედავ საჭიროებას ამ ორ მიდგომას შორის არჩევანი გაკეთდეს. რისკებისა და სარგებლის შესახებ კითხვას რაც შეეხება, შეგვიძლია შევადაროთ: თუკი გამოკვეთილად ღირებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას ავირჩევთ, შესაძლოა, შემოკლდეს გრძელი გზა ევროკავშირისკენ და ნატოსკენ, მაგრამ შეიძლება, რუსეთმა გაიმეოროს 2008 წელი. თუ მეტისმეტად მიეტმასნებით მეორე - ტრანსაქციურ გზას, ეს შეიძლება ნიშნავდეს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დამშვიდობება დიდი ხნით. საქართველოსთვის სიტუაცია რთულია. საბედნიეროდ, ვფიქრობ, არ არის აუცილებელი არჩევანის გაკეთება, რადგან საჭიროა ამ ვიწრო ხაზზე სიარული.

დოქტ. ნიკლას ნილსონი,

ასოცირებული პროფესორი ომის კვლევებში, სახმელეთო ოპერაციების განყოფილება, ომის კვლევებისა და სამხედრო ისტორიის დეპარტამენტი, შვედეთის თავდაცვის უნივერსიტეტი, შვედეთი

ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, არ აქვს ფუფუნება, აირჩიოს, რა ტიპის საგარეო პოლიტიკა უნდა აწარმოოს ქვეყანამ - ღირებულებებზე დაფუძნებული თუ ტრანსაქციური. ამბიცია, რომ საქართველო იქცეს დასავლური სტილის ლიბერალურ დემოკრატიად, მოითხოვს ქვეყანამ ლიბერალური ღირებულებები აქციოს საკუთარი საგარეო და საშინაო პოლიტიკის (რაც, არ შეიძლება, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს), ავთენტურ ნაწილად და დარჩეს ევროატლანტიკური უსაფრთხოების საზოგადოების წევრად. არსებობს მოსაზრება, რომ ზოგჯერ საქართველო ნეიტრალურ საგარეოპოლიტიკურ კურსს უნდა მიჰყვეს, რომ კარგი ურთიერთობები ჰქონდეს დასავლეთთანაც და რუსეთთანაც, ფოკუსირდეს საშინაო განვითარებაზე. თუმცა, ეს მიდგომა გაზრდის საქართველოს მოწყვლადობას რუსული

გავლენის მიმართ და დაასუსტებს საგარეო ხელშემწყობ ფაქტორებს ევროკავშირის და ნატოს სტანდარტებთან დაახლოების კუთხით. დემოკრატიული და რეფორმატორი ქვეყნის სტატუსი, რომელსაც საქართველო ამდენი წლის განმავლობაში აშენებდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულებაა დასავლეთთან ურთიერთობებში. ამ მხრივ პოზიციების დათმობა შეამცირებს საქართველოს მიმართ საგარეო პარტნიორების ინტერესს ქვეყნის პოლიტიკური მომავლის მიმართ.

საქართველო უსაფრთხოების მნიშვნელოვანი რისკების წინაშე დგას, თუმცა მათთან გამკლავება დამოკიდებულია არა იმდენად თავად საქართველოს საგარეოპოლიტიკურ არჩევანზე, არამედ იმაზე, თუ თუ რა საბოლოო შედეგებით დასრულდება ომი უკრაინაში და როგორ იმოქმედებს ეს რუსეთის შესაძლებლობებზე სხვა სახელმწიფოებში ინტერვენციის მხრივ. განურჩევლად იმისა, როგორ დასრულდება ომი, საქართველოს საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისას საჭირო იქნება აგრესიულ და რევიზიონისტ რუსეთთან გამკლავება. ეს არ არის საქართველოსთვის პრინციპულად ახალი მდგომარეობა. შესაბამისად, უკრაინაში მარცხმა შესაძლოა გააღვივოს რუსეთის მოტივაცია, ხელახლა მოიპოვოს ძალაუფლება და გავლენა სხვა არეალებში (ამის მაგალითია მოლდოვაში გადატრიალების წარუმატებელი მცდელობა). მეორე მხრივ, რუსეთის მიერ სამეზობლო ქვეყნებში გავლენის პროექცია კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება უკრაინაში მიმდინარე ომის ტრაექტორიისა და სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის და ევროკავშირის გაზრდილი გეოპოლიტიკური ინტერესის გათვალისწინებით.

დოქტ. დავით აფრასიძე,

პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

დავიწყოთ განმარტებებით. პატარაა ქვეყანა, რომელსაც არ ძალუძს მის ირგვლივ არსებული გარემოს არსებითად გარდაქმნა, უწევს გარე იმპულსებზე რეაგირება და მასთან მისადაგება. ტრანსაქციურ საგარეო პოლიტიკაში ვგულისხმობთ ad hoc, შემთხვევიდან შემთხვევამდე განსხვავებულ საგარეო ქცევას, რომლის მთავარი მიზანი მოკლევადიანი შედეგებია. ტრადიციულად ამგვარ პოლიტიკას შეიძლება ვუწოდოთ „დაბალანსების“, „მულტივექტორული“ ან „მიუმხრობლობის“. ამის საპირისპიროდ, ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა გულისხმობს უფრო სტაბილური და გრძელვადიან მიზნების ქონას და მოკავშირეების ყოლას.

შეიძლება პირდაპირ ვთქვათ, რომ საქართველოს არ აქვს ტრანსაქციური საგარეო პოლიტიკის ფუფუნება. ცვალებად გარემოში, ამგვარი პოლიტიკა შეიძლება პრაგმატულად კი ჩანდეს, მაგრამ, პატარა ქვეყნის შემთხვევაში, საიმედო მოკავშირის გარეშე ყოფნა მალევე იქცევა მახედ, რომელიც საბოლოოდ ამ ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფით სრულდება. დიდი, აგრესიულად განწყობილი სახელმწიფო ასეთ ქვეყანას ან საკუთარ სატელიტად აქცევს (საუკეთესო შემთხვევაში), ანაც პირდაპირ დაიქვემდებარებს. მაგალითებისთვის ისტორიას რომ არ მივმართოთ, სომხეთის (შედარებით რბილი

დაქვემდებარება) და ბელარუსის (შედარებით ხისტი) შემთხვევებიც თვალსაჩინოა.

ამასთან, საერთაშორისო ურთიერთობები არ არის მხოლოდ ძალის ასპარეზი. ნორმები (მაგალითად, მოსაზრებები „კარგსა“ და „ცუდზე“) ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი და დღეს განსაკუთრებით გაიზარდა მისი წონა. უკრაინის დასახმარებლად დემოკრატიული სამყაროს მობილიზება აჩვენებს, რომ ქვეყნების მოქმედებას, გეოპოლიტიკასთან ერთად, ღირებულებებიც განსაზღვრავს. რუსეთის აგრესიამ დაძრა გეოპოლიტიკური პროცესები, რამაც გააჩინა სივრცე ღირებულებების მატერიალიზებისთვის. ამის გამოვლინებაა უკრაინის, მოლდოვას (და, იმედია, საქართველოს) მიწვევა ევროკავშირში.

რა ქნას საქართველომ? საქართველოს არჩევანი უნდა იყოს არა ქვეყნებს შორის ბალანსი, არამედ გონივრული შეთავსება გრძელვადიან სტრატეგიულ მიზანსა და მოკლევადიან ტაქტიკურ ამოცანებს შორის. სტრატეგიული მიზანი, როგორც ეს ქვეყნის კონსტიტუციაში წერია, უნდა იყოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია (ღირებულებითი), ამოცანები კი ეფუძნებოდეს ოთხ პრინციპს: 1. ღირებულებების ერთგულება შიგნით (ჩვენ ვართ დემოკრატიული ქვეყანა, ანუ ბუნებრივად ვეკუთვნით ევროატლანტიკურ სივრცეს); 2. უკრაინის მხარდაჭერა სიტყვით და საქმით (ყოველგვარი ორაზროვნების აღმოფხვრა ამ მხრივ); 3. სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობაში ბალანსი მოკლევადიან (სწრაფი უკუგების მომტან) და გრძელვადიან (სტაბილურ ბაზრებთან დაკავშირების) პოლიტიკებს შორის; 4. კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი გზის ხაზგასმა (და ამის დაკავშირება ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივასთან). ასეთი საგარეო პოლიტიკით საქართველოს სტრატეგიულ მიზნის მიღწევის მეტი შანსი ექნება სწრაფად ცვალებად გარემოში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

შინაარსზე პასუხისმგებლობა ეკისრება ავტორებს და ის შესაძელებელია არ ასახავდეს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

„როგორი საგარეო პოლიტიკა სჭირდება საქართველოს?“ ექსპერტთა კომენტარი #23, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, მარტი 2023.

© Georgian Institute of Politics, 2023
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
For more information, please visit
www.gip.ge